კავკასიის უნივერსიტეტის მესამე მისიის პოლიტიკა

როდესაც მომავალს ვუმზერთ, ვხედავთ უნივერსიტეტებს კედლების გარეშე,

ეს უნივერსიტეტები არის ღია და სრულად ჩართული საზოგადოების ცხოვრებაში, მაგრამ ასევე ინარჩუნებს ყველა ძირითად ღირებულებას.

ევროპის ყველა უნივერსიტეტი იქნება ანგარიშვალდებული, დამოუკიდებელი და თავისუფალი; მათ ექნებათ განსხვავებული ინსტიტუციური პროფილები,

მაგრამ საერთო მისიები - სწავლა და სწავლება, კვლევა, ინოვაციებისა და კულტურის ხელშეწყობა და საზოგადოების სამსახურში ყოფნა.

- უნივერსიტეტები კედლების გარეშე, ხედვა 2030 წლისთვის, EUA

პრეამბულა

ცვალებად გლობალურ გარემოში უნივერსიტეტები ტრანსფორმაციას განიცდიან და სულ უფრო მეტად აცნობიერებენ საკუთარ როლს საზოგადოების ცხოვრებაში. 2000-იანი წლებიდან პარადიგმა მკაფიოდ იცვლება - ახლა უნივერსიტეტი აღარ არის მხოლოდ ადგილი, სადაც აკადემიურ წარმატებას აღწევენ, ახლა მას საზოგადოების წინსვლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. მესამე მისია (3M), რომელიც იმპლიციტურად არის ინტეგრირებული კვლევით მისიაში, სრულად ემთხვევა თანამედროვე ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მოთხოვნებს და ხაზს უსვამს აკადემიური დაწესებულებებს, ინდუსტრიასა და მთავრობას შორის თანამშრომლობის აუცილებლობას.

როდესაც მესამე მისიას (3M) განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უნივერსიტეტების საქმიანობაში, ახალი პოტენციური როლები და მეტი კონკურენტუნარიანობა იქმნება, რაც ჰოლისტიკური სოციალური წვლილის საფუძველს წარმოადგენს. ამავდროულად, „სამეწარმეო უნივერსიტეტის“ შექმნა ცოდნის სტრატეგიულად გამოყენების პროაქტიულ ვალდებულებასაც ნიშნავს, რაც უნივერსიტეტების შესახებ ტრადიციულად არსებული თვალსაზრისისგან - „სპილოს ძვლის კოშკებისგან“ - რადიკალურად განსხვავდება.

პოლიტიკის გავრცელების არეალი

ეს პოლიტიკა ეხება კავკასიის უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და ფართო საზოგადოებას.

კავკასიის უნივერსიტეტის მესამე მისიის დეკლარაცია

ბოლოდროინდელი გლობალიზაციის პროცესების ზემოქმედებით უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეცვალეს სასწავლო და კვლევითი მისიები და ისინი საზოგადოებრივ ინტერესებს დაუახლოვეს.

ითვალისწინებს რა, უმაღლესი განათლების განვითარებად ლანდშაფტს, კავკასიის უნივერსიტეტი (CU) კონცენტრირებულია ტრანსფორმაციული მესამე მისიის (3M) პოლიტიკაზე, რაც მას ტრადიციულ სწავლებისა და კვლევის წარმოებასთან ერთად ახალ როლს ანიჭებს. 1998 წელს დაარსების დღიდან, CU მხარს უჭერს აკადემიურ სრულყოფილებას გლობალური მასშტაბით და სკოლებისა და პროგრამების

მრავალფეროვნებისთვის იღწვის. კავკასიის უნივერსიტეტი, რომლის დევიზი იყო და არის "Studium Pretium Libertatis" (განათლება თავისუფლების საწინდარია), უპირატესობას ანიჭებს მაღალხარისხიან განათლებას, საერთაშორისო თანამშრომლობას და პრაქტიკულ სწავლებას. ჩვენი 3M პოლიტიკა ითვალისწინებს ცოდნის ეკონომიკის, გლობალიზაციისა და სოციალური ცვლილებების დინამიკურ გამოწვევებს. CU აღიარებს აუცილებლობას გადალახოს ჩვეულებრივი აკადემიური საზღვრები, ჩაერთოს ცოდნის გადაცემაში, ინოვაციებსა და სოციალურ წვლილებში. ეს პოლიტიკა ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტი მიზნად ისახავს თანამედროვე სამყაროსთვის შესაბამისი უნარებით აღჭურვილი კურსდამთავრებულების მომზადებას.

განვითარების კვალდაკვალ კავკასიის უნივერსიტეტი სულ უფრო მეტად ახორციელებს ისეთ აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს და დადებითად მოქმედებს ადგილობრივი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. კომუნიკაციისა და სოციალური ჩართულობის სხვადასხვა ფორმის საშუალებით უნივერსიტეტი პირდაპირ და ირიბად ერთვება სოციალური და კულტურული განვითარების პროცესში. ამ დრომდე, კავკასიის უნივერსიტეტის მესამე მისია მოიცავდა აქტივობების ფართო სპექტრს, რომლებსაც ახორციელებენ ძირითადად უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, რომელთა მიზანიც არის საზოგადოების თვალში უნივერსიტეტის დადებითი იმიჯის გაზრდა და განმტკიცება. კერძოდ, მესამე მისიის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის შესახებ უნივერსიტეტის ხედვა უახლოვდება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ტრადიციულ კონცეფციას, რომელიც უნივერსიტეტს აკისრებს ვალდებულებას, წვლილი შეიტანოს საქართველოს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და გარემოსდაცვითი განვითარების პროცესში. ეს ვალდებულება აისახება ლოკალური და რეგიონული მასშტაბით განხორციელებულ მრავალფუნქციურ და მულტიდისციპლინურ თანამშრომლობის პროცესებში, რომელთა მეშვეობითაც კავკასიის უნივერსიტეტი ასრულებს თავის აქტიურ სოციალურ როლს.

2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში კავკასიის უნივერსიტეტმა გადახედა და განაახლა სტრატეგიული განვითარების გეგმა, რის შედეგადაც შეიცვალა რამდენიმე ძირითადი მიზანი და მესამე მისიის რამდენიმე ინდიკატორი. უნივერსიტეტმა საკუთარ ვალდებულებად გამოაცხადა დაგეგმოს, განახორციელოს და შეაფასოს მესამე მისიის აქტივობები უნივერსიტეტში და მის ფარგლებს გარეთ. ამ მიზნით გამოიკვეთა ერთი სტრატეგიული მიზანი P5 „პროგრამების/აქტივობების (მათ შორის ინოვაციური) შემუშავება და განხორციელება უნივერსიტეტის მესამე მისიის შესაბამისად, ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით“.

უნივერსიტეტმა მესამე მისიისადმი ვალდებულება სამი მიმართულებით გამოაცხადა: უწყვეტი განათლება (CE), ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერი (KTT) და სოციალური ჩართულობა (SE).

უნივერსიტეტის საქმიანობა, ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფასთან ერთად, მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების განვითარების ხელშეწყობასთან, რასაც მოწმობს უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი არაერთი აქტივობა, რომელიც ასახავს მის თავდადებას საზოგადოების ღირებულებებისადმი. ნებისმიერი აქტივობა, იქნება ეს სკოლების, დეპარტამენტების თუ ოფისებისა, უნივერსიტეტის ინოვაციურ სულს ასახავს. ეს მოიცავს აკადემიური თავისუფლებისადმი ერთგულებას, ძლიერ კავშირს ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო საზოგადოებასთან და ერთგულებას ინკლუზიისა და მრავალფეროვნებისადმი.

კავკასიის უნივერსიტეტი პატივს სცემს ქვეყნის ისტორიასა და კულტურას და აქტიურად მუშაობს ეროვნული ფასეულობების გავრცელებისა და დანერგვისათვის. ამ ასშტაბური მიდგომით კავკასიის უნივერსიტეტი არა მხოლოდ ხელს უწყობს ინდივიდუალური განათლების წინსვლას, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართული საზოგადოების საერთო განვითარებაში.

ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვისას კავკასიის უნივერსიტეტი მიზნად ისახავს ქართულ საზოგადოებას მიაწოდოს ცოდნა, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის განვითარებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას, რაც ასახავს უნივერსიტეტის ღირებულებებს და მის მზაობას ხელი შეუწყოს და დააჩქაროს საზოგადოების პროგრესი განათლების, კვლევისა და სხვადასხვა აქტივობების აქტიური განხორციელების გზით.

კავკასიის უნივერსიტეტის 3M პრინციპები

კავკასიის უნივერსიტეტის სოციალური ჩართულობის პროფილი ემყარება მისიას მოამზადოს მაღალკვალიფიციური პროფესიონალები როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ბაზრისთვის. კვლევაზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის საშუალებით, უნივერსიტეტი ცდილობს, საზოგადოების საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით, აღზარდოს მაღალი მორალური ღირებულებების მატარებელი, დემოკრატიის იდეალებისადმი ერთგული პიროვნებები. ეს ხედვა ითვალისწინებს ინოვაციებთან, მრავალფეროვნებასთან, აკადემიური თავისუფლებისა და ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებებთან სიახლოვეს. ის ხაზს უსვამს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ისეთი გარემოს შექმნის აუცილებლობას, რომელშიც პროფესორ-მასწავლებლებს ექნებათ ცოდნის შექმნისა და გადაცემის თავისუფლება.

უნივერსიტეტის მესამე მისიის განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აკადემიური პერსონალისა და მათი შესაბამისი ვალდებულებების განხორციელებაზე. ყოველწლიურად, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი დეტალურ ინფორმაციას იღებს როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალისგან მათი 3M საქმიანობის შესახებ. გროვდება სხვადასხვა ინიციატივებისა და პროექტების მონაცემები, რომლებსაც ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალი ინდივიდუალურად, ჯგუფურად ან უფრო დიდი პროექტების ფარგლებში. შეგროვებული ინფორმაცია არა მხოლოდ პერსონალის წვლილის ფართო სურათს ასახავს, არამედ ხელს უწყობს ამ აქტივობების დაკავშირებას მესამე მისიის მიზნებთან. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენება უნივერსიტეტის ძალისხმევის გასაზრდელად და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) დასაახლოვებლად, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ინიციატივების თანხვედრას მდგრადობის გლობალურ მიზნებთან.

კავკასიის უნივერსიტეტმა, როგორც Erasmus+-ის შესაძლებლობების განვითარების ეროვნული პროექტის „SQUARE“ (მე-3 მისიის ხარისხისა და შესაბამისობის გაძლიერება ქართულ უნივერსიტეტებში) აქტიურმა მონაწილემ, ხელი შეუწყო 3M-ის მნიშვნელობისა და აქტუალობის პოპულარიზაციას, რითიც აამაღლა ცნობიერება საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში. დამატებითი ინფორმაცია პროექტის და კავკასიის უნივერსიტეტის „SQUARE“-ში მონაწილეობის შესახებ იხილეთ: https://www.square.tsu.ge/.

ეს სტრატეგიული მიდგომა უზრუნველყოფს მესამე მისიის ყოვლისმომცველი და გავლენიანი სტრატეგიის შექმნას. უფრო მეტიც, მოცემული დოკუმენტი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის თანასწორობის, მრავალფეროვნების და ინკლუზიის (EDI) ამოცანებთან და მდგრადობის პოლიტიკის პრინციპებთან და ღირებულებებთან. ამ ინიციატივების ურთიერთდაკავშირებით კავკასიის უნივერსიტეტი არა მხოლოდ აკმაყოფილებს აკრედიტაციის მოთხოვნებს, არამედ ხელს უწყობს ინკლუზიურობის, მდგრადობისა და სოციალური წვლილის შეტანის გარემოს შექმნას.

CU-ს პასუხისმგებლობა მესამე მისიის განხორციელებაზე, მონიტორინგი და მისი განვითარება

უნივერსიტეტის მესამე მისიის განხორციელების მონიტორინგს, შეფასებას და მის აუცილებელ კორექტირებას, ახდენს კავკასიის უნივერსიტეტის შესაბამისი ოფისი/განყოფილება/სკოლა. სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი ახორციელებს 3M საქმიანობის ყოველწლიურ მიმოხილვას, დასკვნებს კი აცნობს უნივერსიტეტის საზოგადოებას.

კავკასიის უნივერსიტეტში ინოვაციებისა და მეწარმეობის ცენტრი ახორციელებს სტარტაპის ეკოსისტემის პოპულარიზაციას, სამეწარმეო ზრდის ხელშეწყობას და სტუდენტებს შორის ინოვაციური პროექტების წახალისებას. ამასთან, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი გადამწყვეტ როლს თამაშობს უნივერსიტეტის საქმიანობის ხელშეწყობაში როგორც მესამე მისიის ფარგლებში ასევე მის ფარგლებს მიღმა. ეს დეპარტამენტი წამყვან როლს ასრულებს CU-ს მესამი მისიის საქმიანობის ხელშეწყობაში, ცდილობს ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა ინიციატივის შესახებ და უნივერსიტეტის მისიისა და ღირებულებების ეფექტურ კომუნიკაციას.

უნივერსიტეტის მესამე მისიასთან და მის სოციალურ ზეგავლენასთან დაკავშირებული სტანდარტების დაკმაყოფილება ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე პირობაა. ამ პრინციპებისადმი ერთგულების სადემონსტრაციოდ კავკასიის უნივერსიტეტი იყენებს სხვადასხვა საზომს (მეტრიკას), მათ შორის ახალ პროექტებს, წარდგენილ განაცხადებს, დაფინანსებულ სტარტაპებს და პროექტებს, რომლებიც დადებითად ზემოქმედებს საზოგადოებაზე.

კავკასიის უნივერსიტეტი მუდმივად გეგმავს, ახორციელებს და აფასებს მესამე მისიის ფარგლებში მის მიერ შესრულებულ აქტივობების გავლენას საზოგადოებაზე იმისათვის, რომ მისი ყველა ძალისხმევა საზოგადოების კეთილდღეობას ემსახურებოდეს.